პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 251 (13336) | შაბათი, 23 ოქტომბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ფართოდ გაშალეთ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად!



სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 48-ე წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 48-ე წლისთავს!

2. დიდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამსხვრევისა და კომუნიზმის დამკვიდრების ერა!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ, ყოვლისმძლე რევოლუციურ მოძღვრებას!

4. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მთელი ძალები მოახმარეთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესრულებას!

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის ლენინურ გენერალურ ხაზს!

5. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ფართოდ გაშალეთ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად!

6. მგზნებარე სალამი მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მებრძოლ ავანგარდს!

7. გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

8. გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობასა და შეკავშირებას მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მოსკოვის თათბირების დეკლარაციისა და განცხადების საფუძველზე!

9. სოციალიზმის ქვეყნების ხალხებო, ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლო ხალხებო, მთელი მსოფლიოს მშრომელებო! გააერთიანეთ მეცადინეობა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეროვნული განთავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

10. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ კოლონიური მონობის სამარცხვინო სისტემის სრული და საბოლოო ლიკვიდაციისათვის, იმპერიალიზმზე დამოკიდებულების ყველა ფორმის წინააღმდეგ, რასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ.

11. ყველა ქვეყნის ხალხებო! ამხილეთ ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკები! გააძლიერეთ ბრძოლა საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

12. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ იმისათვის, რომ ამერიკის იმპერიალიზმმა შეწყვიტოს სამხედრო ინტერვენცია სამხრეთ ვიეტნამში და აგრესიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ! მოითხოვეთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ გაიყვანონ შეიარაღებული ძალები სამხრეთ ვიეტნამიდან!

დაე ფართოვდებოდეს და მტკიცდებოდეს საერთაშორისო სოლიდარობა გმირ ვიეტნამელ ხალხთან!

13. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის იმპერიალისტური გეგმების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ დასავლეთგერმანელმა რევანშისტებმა ხელთ იგდონ ატომური იარაღი!

14. ყველა ქვეყნის ხალხებო! იბრძოლეთ დასავლეთ გერმანიის რევანშისტული და მილიტარისტული ძალების ალაგმვისათვის, ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა მკაცრად დასჯისათვის, გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის!

15. გაუმარჯოს მსოფლიოს სოციალისტურ სისტემას — საერთაშორისო მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მთავარ მონაპოვარს!

დაე მტკიცდებოდეს სოციალიზმის ყველა ქვეყნის ხალხთა შეკავშირება, ძმური მეგობრობა და ერთიანობა!

16. ძმური სალამი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დიდი ხალხების შეკავშირებას იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისათვის, მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

17. ძმური სალამი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ალბანეთის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

18. ძმური სალამი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

19. ძმური სალამი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

20. ძმური სალამი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, იბრძვიან ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ თავიანთი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

21. ძმური სალამი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას!

22. ძმური სალამი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, იბრძვიან თავიანთი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და კორეელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

23. ძმური სალამი კუბის გმირ ხალხს, რომელიც სოციალიზმს აშენებს! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და კუბელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს კუბის რესპუბლიკას!

24. ძმური სალამი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და მონღოლი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

25. ძმური სალამი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და პოლონელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

26. ძმური სალამი რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და რუმინელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

27. ძმური სალამი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

28. ძმური სალამი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და იუგოსლავი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

29. მხურვალე სალამი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხს, რომელიც დამოუკიდებელ, ეროვნულ, დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებს, იბრძვის თავისი ქვეყნის სოციალისტური განვითარებისათვის! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

30. მხურვალე სალამი ალჟირის გმირ ხალხს, რომელიც დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოს აშენებს, იბრძვის თავისი ქვეყნის სოციალური პროგრესისათვის! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

31. მხურვალე სალამი ბირმის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, თავიანთი ქვეყნის სოციალური პროგრესისათვის! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ბირმის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

32. მხურვალე სალამი განის, გვინეის, ბრაზავილის კონგოსა და მალის ხალხებს, რომლებიც დამოუკიდებელ, ეროვნულ, დემოკრატიულ სახელმწიფოებს აშენებენ, იბრძვიან თავიანთი ქვეყნების სოციალური პროგრესისათვის! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის ხალხებისა და განის, გვინეის, კონგოსა და მალის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა!

(დასასრული მე-2 გვერდზე)

წინასაყრილობო შრომითს ვახტზე

ფეიქართა ახალი ვალდებულებანი

ჭიათურელთა მოწოდების საპასუხოდ

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა ბრძოლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის ლენუმის გადაწყვეტილებას „მრეწველობის მართვის, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ". ეს ისტორიული გადაწყვეტილება მიმართულია ჩვენი სოციალისტური საამრობლოს ეკონომიკის განვითარებისაკენ. ახლა საქმე ჩვენზეა, და ჩვენც მთელი მონდომებით შევუდექით შრომას. ოპოვებულია პირველი წარმატება. კომბინატმა მოგების წლიური დავალება ადრე შეასრულა და მიიღო 219 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. მატო მატყლის გამოსავლიანობის გადიდებით მიღებულმა ზეგეგმითმა მოგებამ 238 ათას მანეთს მიაღწია, ხოლო ნართის გამოსავლიანობა გასული თვის ლენინურ დონეზე შედარებით წელს 9 თვეში 2,5 პროცენტით გაიზარდა. 190 მქსოველიდან 108 მქსოველი მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს. წელს პირველი ხარისხის ქსოვილი გამოშვებულია 45 ათასი მეტრით მეტი, ვიდრე ამას ეგეგმა ითვალისწინებდა. ახლა წარმოება ასახულია ბეჭედილი პროდუქციის რეალიზაციისათვის. კარგად გვესმის ამისი მნიშვნელობა და ქმედით ღონისძიებებს ვახორციელებთ ამ მხრივ. პროდუქციის რეალიზაციის დავალება 14 პროცენტის გადამეტებით შევასრულეთ. გაიზარდა მომუშავეთა მატერიალური დაინტერესება. მუშის საშუალო გამომუშავება გასულ წელთან შედარებით წელს ცხრა თვეში თერთმეტი მანეთით გაიზარდა. მიღწეულით არ დავკმაყოფილდებით.

გავეცანით ჭიათურის მრეწველობის მუშაკთა შესანიშნავ თაოსნობას — გავიჩაღოთ სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. ვიწონებთ ჭიათურელთა ამ პატრიოტულ ინიციატივას, ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვკისრულობთ:

1. შვიდწლედის დამამთავრებელი წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეგასრულოთ 20 დეკემბრისათვის;

2. პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ოდენობა, გასულ წელთან შედარებით, გავაღიდოთ 4 პროცენტით;

3. შრომის ნაყოფიერება გავზარდოთ 2 პროცენტით;

4. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 250 ათასი მანეთით;

5. წლის ბოლომდე დამატებით მივიღოთ ასი ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება;

6. პროდუქციის რეალიზაციის დავალება გავანაღდოთ 14 პროცენტის გადამეტებით;

7. წლის ბოლომდე დამატებით გამოვუშვათ 25 ათასი მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი.

8. ავითვისოთ და მასობრივად გამოვუშვათ ათი ახალი სახეობის ქსოვილი;

9. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის პატივსაცემად, ორ თვეში ეკონომიურად გამოვიყენოთ ნედლეულის ნარჩენები, ანგარიშგებაში ასახულ ნარჩენებზე ორ ტონა ნაჯამი ნედლეულ ... ...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 48-ე წლისთავისათვის

(დასასრული)

33. მხურვალე სალამი დიდ ინდოელ ხალხს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

34. მხურვალე სალამი დიდ ინდონეზიელ ხალხს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

35. მხურვალე სალამი სამხრეთ ვიეტნამის მამაც ხალხს, რომელიც გმირულ ბრძოლას ეწევა გამყიდველი ანტიხალხური რეჟიმისა და ამერიკის იმპერიალიზმის შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე.

36. მხურვალე სალამი სამხრეთ კორეის მამაც ხალხს, რომელიც იბრძვის ამერიკის ჯარების გაყვანისათვის, თავისი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის!

37. მხურვალე სალამი კამბოჯის, ლაოსის, ნეპალისა და ცეილონის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, და თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის!

38. მხურვალე სალამი ავღანელ ხალხს! დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა!

39. მხურვალე სალამი არაბთა ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისათვის, თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის!

40. მხურვალე სალამი სამხრეთ არაბეთის ხალხებს, რომლებიც გმირულ ბრძოლას ეწევიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

41. მხურვალე სალამი აფრიკის სახელმწიფოთა ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის!

42. მხურვალე სალამი კონგოელ ხალხს, რომელიც იბრძვის შინაგანი და გარეშე რეაქციის წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

43. მხურვალე სალამი ანგოლის, მოზამბიკის, პორტუგალიის გვინეის, სამხრეთ როდეზიისა და სამხრეთ აფრიკის ხალხებს, რომლებიც გმირულად იბრძვიან იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

44. მხურვალე სალამი ლათინური ამერიკის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების სრული დამოუკიდებლობისათვის!

45. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის ინტერესებისათვის!

46. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის, საბერძნეთისა და იტალიის ხალხთა მეგობრული ურთიერთობა!

47. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხისა და ირანის, პაკისტანისა და თურქეთის ხალხთა მეგობრული ურთიერთობა!

48. მხურვალე სალამი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებს და მთელ პროგრესულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან მილიტარიზმის და ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ!

49. ძმური სალამი ესპანეთისა და პორტუგალიის ხალხებს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან ფაშისტური რეჟიმების წინააღმდეგ, დემოკრატიული თავისუფლებებისათვის!

50. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას!

51. მხურვალე სალამი ფინელ ხალხს! დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის ხალხთა მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა!

52. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხისა და დანიის, ისლანდიის, ნორვეგიის, შვეიცარიის, ბელგიისა და ჰოლანდიის ხალხთა მეგობრული ურთიერთობა!

53. მხურვალე სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის, ამერიკის სამხედრო ბაზების წინააღმდეგ! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ხალხთა მეგობრული ურთიერთობა!

54. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას!

55. გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდებით მოსილ მამაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს.

56. საბჭოთა მეომრებო! წმიდად დაიცავით და ამრავლეთ არმიისა და ფლოტის გმირული ტრადიციები, მიაღწიეთ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, განამტკიცეთ მხედრული დისციპლინა, იყავით ფხიზლად და მუდამ მზად ყოველი აგრესორის შესამუსრავად!

57. დაე მტკიცდებოდეს და აყვავდეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ურღვევი საფუძველი!

58. დაე მარად ცოცხლობდეს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ერთიანობა და ძმური მეგობრობა!

59. დიდება კოლექტივებსა და დამკვრელებს, რომლებიც შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის იბრძვიან!

დიდება წარმოების ყველა მოწინავესა და ნოვატორს!

60. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განამტკიცეთ სოციალისტური საკუთრება — ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველი!

61. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის!

62. მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! გაადიდეთ საზოგადოებრივი წარმოების და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა, უფრო სრულად გამოიყენეთ ძირითადი საწარმოო ფონდები, უფრო სწრაფად აითვისეთ ახალი სიმძლავრეები!

63. მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! განამტკიცეთ ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინა, განავითარეთ სამეურნეო ანგარიში, გაადიდეთ წარმოების რენტაბელობა!

64. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! გაზარდეთ შრომის ნაყოფიერება! იბრძოლეთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის!

65. მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! განახორციელეთ სპეციალიზაცია, კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, წარმოებაში დანერგეთ მეცნიერების, ტექნიკის მიღწევები და მოწინავე გამოცდილება!

66. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ მატერიალური რესურსებისა და სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვისათვის! იბრძოლეთ უუაირათობის, ზედმეტობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ!

67. საბჭოთა მეტალურგებო და მაღაროელებო! გაადიდეთ მადნის ამოღება, თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, მილების, ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოება!

68. საბჭოთა ენერგეტიკოსებო! ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების მშენებლებო და მემონტაჟეებო! უზრუნველყავით ენერგეტიკის განვითარების წინგამსწრები ტემპები, შეამცირეთ ენერგოსისტემების მშენებლობისა და ექსპლოატაციის ღირებულება!

69. მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშაკებო! იბრძოლეთ ტექნიკური პროგრესისათვის, უზრუნველყავით სახალხო მეურნეობა უახლესი მანქანებითა და ხელსაწყოებით!

70. ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ ნავთობისა და გაზის მოპოვება! უფრო სწრაფად აითვისეთ ნავთობისა და გაზის ახალი საბადოები!

71. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის საჭირო ქიმიური პროდუქტების გამოშვების გასაადიდებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად! გამოუშვით მეტი მინერალური სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებანი სოფლის მეურნეობისათვის!

72. საბჭოთა გეოლოგებო! უფრო სწრაფად აღმოაჩინეთ ჩვენი სამშობლოს წიაღთა აუარაცხელი სიმდიდრენი!

73. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ ქვანახშირის მოპოვება, შეამცირეთ მისი თვითღირებულება! უკეთ გამოიყენეთ სამთო ტექნიკა!

74. საბჭოთა მშენებლებო! დააჩქარეთ სამშენებლო სამუშაოთა ტემპები და გაუმჯობესეთ ხარისხი! უფრო სწრაფად ჩააყენეთ მწყობრში საწარმოო, საცხოვრებელი, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები ქალაქად და სოფლად!

75. საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ საშენ მასალათა, ნაკეთობათა და კონსტრუქციათა წარმოება, გააუმჯობესეთ ხარისხი!

76. ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მუშაკებო! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მაღალი ხარისხის შერქანი, ავეჯი, ცელულოზა და ქაღალდი!

77. მსუბუქი კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოება, გააუმჯობესეთ ასორტიმენტი და ხარისხი!

78. თევზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ თევზჭერა, გააუმჯობესეთ თევზის პროდუქტების ხარისხი და შეამცირეთ თვითღირებულება!

79. ტრანსპორტის მუშაკებო! აღჭურვეთ ტრანსპორტი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით! შეამცირეთ ტვირთების ადგილზე მიტანის ვადები. შეამცირეთ ტვირთზიდვის თვითღირებულება, უკეთ მოემსახურეთ მგზავრებს!

80. კავშირგაბმულობის მუშაკებო! განავითარეთ და სრულყავით კავშირგაბმულობის საშუალებანი! აუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება!

81. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარება და განმტკიცება მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა! ბეჯითად იბრძოლეთ იმისათვის, რომ განახორციელოთ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელი ღონისძიებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა შეიმუშავა!

82. სახელი და დიდება სოფლის მეურნეობის მშრომელებს, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები!

83. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! აამაღლეთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა, დაუცხრომლად ნერგეთ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება!

84. კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! გაადიდეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, გაზარდეთ შრომის ნაყოფიერება, მიაღწიეთ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის რენტაბელობას!

85. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! უკეთ გამოიყენეთ ორგანული და მინერალური სასუქები, გაადიდეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა!

86. კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა! განამტკიცეთ საკვები ბაზა, რაციონალურად გამოიყენეთ საკვები!

87. კოლმეურნეებო! განამტკიცეთ საზოგადოებრივი მეურნეობა! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეების მართვაში!

88. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებო! იბრძოლეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის! უკეთ შეისწავლეთ, ნაყოფიერად გამოიყენეთ ტექნიკა და გაუფრთხილდით მას!

89. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკებო! გაამდიდრეთ პრაქტიკა ახალი აღმოჩენებით და მიღწევებით, მჭიდრო კავშირი იქონიეთ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან! ღირსეული წვლილი შეიტანეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში!

90. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკებო! გააუმჯობესეთ ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება, უკეთ მოემსახურეთ მოსახლეობას!

91. საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებო! ყოველნაირად გააუმჯობესეთ საბჭოთა ადამიანების მომსახურება, უფრო სრულად დააკმაყოფილეთ მათი მოთხოვნილებანი!

92. საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! გააუმჯობესეთ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა მასებში! ამოძირკვეთ ბიუროკრატიზმი, გულრცხვილეულად მოეკიდეთ მშრომელთა [illegible] და წერილებს!

93. მეცნიერების და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებო! იბრძოლეთ მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის! მოამზადეთ კომუნიზმის ეპოქის ღირსი სპეციალისტები!

დიდება მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას!

94. დიდება საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებმაც ახალი ჰორიზონტები გადაშალეს კოსმოსური სივრცის ათვისებაში!

დიდება სახელოვან საბჭოთა კოსმონავტებს!

95. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო! იბრძოლეთ ნაწარმოებთა პარტიულობისა და ხალხურობისათვის, მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის! უფრო ნათლად ასახეთ საბჭოთა ხალხის გმირული საქმეების სიდიადე და სილამაზე, ბრძოლა კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის!

96. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, გამომცემლობათა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებო! აქტიურად დაეხმარეთ პარტიას მშრომელთა აღზრდაში მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით!

97. სახალხო განათლების მუშაკებო! გააუმჯობესეთ ბავშვთა სწავლება, გამოაწრთეთ ისინი სულიერად და ფიზიკურად, მოზარდ თაობას ჩაუნერგეთ შრომისმოყვარეობა, კოლექტივიზმი, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება!

98. მედიცინის მუშაკებო! გააუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება! პრაქტიკაში დანერგეთ მედიცინის მეცნიერების უახლესი მიღწევები! იბრძოლეთ საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობისათვის!

99. გაუმარჯოს ჩვენს საერთო-სახალხო სოციალისტურ სახელმწიფოს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია, იზრდებოდეს მშრომელთა აქტივობა ჩვენი ქვეყნის საქმეთა მართვაში!

100. გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

101. გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს!

დიდება გმირ დედას, ბავშვების აღმზრდელს, დაუღალავ მშრომელს წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში!

102. შრომისა და ომის ვეტერანებო! აქტიურად მიიღეთ მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ახალგაზრდობის აღზრდაში. საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითის ტრადიციებზე!

103. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწეს და რეზერვს!

104. ქალიშვილებო და ჰაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, ისწავლეთ კომუნისტურად მუშაობა და ცხოვრება!

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!

105. პიონერებო და მოსწავლეებო! ისწავლეთ კარგად, გიყვარდეთ და პატივი ეცით შრომას! ემზადეთ, რომ გახდეთ ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლნი!

106. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში!

107. დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის სახელოვან მშენებელს, ქვეყნად მშვიდობისა და ყველა ადამიანის ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლს!

108. გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

109. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

110. გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

111. გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

112. გაუმარჯოს კომუნიზმს, რომელიც დედამიწაზე ამკვიდრებს ყველა ხალხთა მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მრეწველობის მართვის ორგანოთა სისტემის შეცვლასთან და სახელმწიფო მართვის ზოგიერთი სხვა ორგანოს გარდაქმნასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველო;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო;

საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო — კომბინატი „საქქვანახშირი".

საფრანგეთის ავიაციის სპეციალისტები თბილისში

22 ოქტომბერს კიევიდან საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა საფრანგეთის ავიაციის სპეციალისტთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის ავიაციის სამინისტროს მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს საფრანგეთის სამინისტროს ავიამშენებლობის დირექტორი, ინჟინერ-გენერალი დელეგაციის შემადგენლობაშია საფრანგეთის სხვადასხვა საავიაციო სახელმძღვანელი და სპეციალისტი.

თბილისის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბახუა, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე ს. ს. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ვ. კუშელავა და სხვა ოფიციალური პირები.

საფრანგეთის ავიაციის სპეციალისტთა დელეგაცია თბილისში 24 ოქტომბრამდე დარჩება.

თბილისში ჩამოსვლის პირველ დღეს სტუმრები ეწვივნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ა. მ. ლაბახუას.

საუბრის დროს სტუმრებს გააცნეს საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევები.

საფრანგეთის ავიაციის სპეციალისტებმა დათვალიერეს თბილისი, ახალშენებლობათა რაიონები. საღამოს ნახეს კინოსტუდია „ქართული ფილმის" ფილმები. (საქდესი).

ინდოეთსა და არაგეთში

ახალციხე. (საკ. კორ.). ოთხიოდე წლის წინათ, როცა ახალციხის ელექტროძრავების ქარხანა ამოქმედდა, მისი შემკვეთი მხოლოდ ბათუმის ელექტროჯარის ქარხანა იყო. ახლა კი იგი თავის პროდუქციას გზავნის მოსკოვში, კიევში, რიგაში, ალმა-ათაში, ლვოვში, ხარკოვში და სხვაგან.

ამ დღეებში ახალციხურ პროდუქციაზე მოთხოვნა მოვიდა ინდოეთიდან და არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკიდან. ამ ცნობამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ქარხნის კოლექტივში, რომელიც დიდი ხალისით შეუდგა დაკვეთის შესრულებას.

ახალ ქარხნის კოლექტივი სკკპ XXIII ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგას. მან იკისრა წლის ბოლომდე ითვისოს და გამოუშვას კიდევ ორი ახალი მარკის მუდმივი დენის ელექტროძრავი, — 25 დეკემბრისათვის გაანაღდოს წლიური დაკალება, ხოლო ყრილობის გახსნის დღისათვის სამშობლოს დამატებით მისცეს 45 ათასი მანეთი მოგება.

სკკპ ცკ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში!

ეკონომიკა ცხოვრება

დიდი საწარმოს წინაშე ყოველთვის დიდი პრობლემები და ამოცანები დგას. სიდიდე მარტო კოლექტივის რიცხვში როდია. ასეთ საწარმოში ყოველი სამუშაო დღის დაგეგმვა, შრომის ორგანიზაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენება და დისციპლინის განმტკიცება დიდ ცოდნასა და მუშაობას მოითხოვს. ეს რომ ასეა, უფრო ნათლად დავინახეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებებში. ვგრძნობთ, რომ აღარ გამოგვადგება ძველებურად მუშაობა, უნდა გარდავქმნათ ჩვენი შრომის მეთოდები.

კომბინატის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ამოცანებს ძირითადად წარმატებით არეკვეს თავს. განსაკუთრებთ სასიხარულოა, რომ კომბინატის მუშაობა ყოველწლიურად აღმავლობისაკენ მიდის. თანდათან უკეთეს მაჩვენებლებს ავღწევთ სახელმწიფო გეგმების შესრულების საქმეში. თუ ორი წლის წინათ კომბინატს გეგმების შესრულება უჭირდა, ახლა ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა — ყოველთვიურად სახელმწიფო გეგმები გადაჭარბებით სრულდება.

კომბინატის ადმინისტრაციის, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს კარგად ესმით, რომ წარმატებათა მოპოვების ერთ-ერთი მთავარი პირობაა შრომის ორგანიზაციის მაღალი დონე და სანამუშო საწარმოო დისციპლინა. მარტო ქაღალდებში, სიებში მუშახელის აღნიშნვა საქმეს როდი შველის. მთავარია ის, თუ ჩვენი მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები როგორ იყენებენ სამუშაო დღეს. საჭიროა, რომ ისინი სამუშაო საათებსა თუ ცვლებში ქმნიდნენ იმდენ მატერიალურ ფასეულობას, რაც ნორმით არის გათვალისწინებული.

როგორც ცნობილია, სამუშაო დროის მაქსიმალურად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა. პლენუმის მასალებში საუსტბით სწორად და დროულად გამახვილდა საწარმოთა ხელმძღვანელების ყურადღება იმაზე, თუ რაოდენ დიდია სამუშაო დროის ფასი, რაოდენ მნიშვნელოვანია ყოველი დღის, ყოველი საათისა და წუთის მნიშვნელობა საერთო-სახალხო საქმის შესრულებაში. ეს საგულისხმო მითითებაა და ჩვენც ვცდილობთ ყველაფერი გავაკეთოთ, რომ კომბინატის თვითეული მუშისათვის ძვირფასი გავხადოთ ყოველი საათი და წუთი. ახლა სწორედ ამ მიმართულებით არის გაშლილი მუშაობა კომბინატის ყველა საწარმოო უბანზე. და იქ, სადაც კარგად იციან სამუშაო დროის ფასი, სათანადო წარმატებებსაც აღწევენ.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით პირველი სართავი ფაბრიკის სალენტე-საფთილე საამქროს (უფროსი ყ. ჩალაური) კომბინატის საამქროებს შორის გაშლილ სოცშეჯიბრებაში პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა, ამასთან საამქრომ კომუნისტური შრომის კოლექტივის სპატიო სახელი მოიპოვა.

როცა საამქროს უფროსს ამ წარმატებას ულოცავდნენ, იგი წარმატების საფუძველთა საფუძვლად ასახელებდა იმას, რომ საამქროს თვითეულმა მუშამ კარგად იცის თავისი საქმე, იცის სამუშაო დროის ყოველი წუთის ფასი. მართლაც, აღნიშნულ საამქროში ძალიან იშვიათად თუ ვინმე გააცდენს სამუშაოს. მართალია, დილის ცვლა მუშაობას იწყებს 8 საათზე, მაგრამ რვის ნახევარზე ყველა ადგილზეა — იბარებენ ცვლას, წესრიგში მოჰყავთ სამუშაო უბანი, იმარაგებენ მასალებს, რომ შემდეგ. მუშაობის პროცესში სხვადასხვა წვრილმანის გამო არ დაკარგონ ოქროს წუთები. საამქროს კოლექტივმა 108 პროცენტით შეასრულა სექტემბრის სახელმწიფო დავალება და ათასობით კილოგრამი ზეგეგმითი ფთილა მისცა ხამშობლოს.

მოწინავეთა შორის დანან ნ. ტუტარევა, მ. კოკოსაშვილი, მ. არაბული, ა. ჩაჩიროვა, ნ. დრაიევა, კ. პანინა და სხვები. ნორმით მათ საათში 8,5 კილოგრამი ფთილა უნდა გამოუშვან, ე. ი. საკმარისია ერთი საათით დაიგვანონ სამუშაოზე ან ერთი საათი უქმად დაკარგონ საამქროში, რომ 8,5 კილოგრამი ფთილა დაკარგონ, დანარჩენ დროში კი მთელი მონდომებითაც რომ იმუშაონ, გეგმა მაინც შეუსრულებელი დარჩებათ. ამიტომ უფროხილდებიან წუთებსა და საათებს. ამიტომ არის, რომ ცვლაში 65 კილოგრამ-სოვო, ათ წუთში — 9,6 მეტრი. ათი წუთის ერთხელ დაგვიანებაზე, შენ ერთმა მქსოველმა, კომბინატს 9,6 მეტრი ქსოვილი დაკაკლი. ხომ ცოტაა ცხრა მეტრი? მაგრამ თუ დღეში კომბინატში ერთის ნაცვლად 10 მქსოველი დაიგვიანებს ათ-ათი წუთით, ეს ხომ 90 მეტრის დაკარგვას უდრის, ხოლო თუ თვეში საძკერ დაიგვიანებენ ათ-ათი წუთით, ეს უკვე 270 მეტრს უდრის. ეს ხომ აღარ არის ცოტა? აი რას კარგავს კომბინატი ათ წუთში ათი მქსოველის მიერ თვეში სამკერ ათ-ათი წუთის დაგვიანებით.

ზ. როდინამ სიტყვა დაამთავრა და დაგვიანებულს თვალებში ჩახედა. იგი უმბოდ იდგა და პასუხი ვერ მოეძებნა. ყველა გრძნობდა, რომ მან შეიგნო ათი წუთის ფასი, გაიგო დანაშაული.

მიუხედავად იმისა, რომ კომბინატის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, საფაბრიკო კომიტეტი, ძირეული პრესა დიდ მუშაობას ეწევიან, რათა სამუშაო დროის დაკარგვის შემთხვევები აღარ იყოს, ამ მხრივ მაინც კვლავ ბევრია გასაკეთებელი. გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევათა რიცხვი კვლავ დიდია. მარტო 4 ოქტომბერს პირველ საქსოვ ფაბრიკაში გაურკვეველი მიზეზით სამუშაოდ არ გამოვიდა 15 მუშა. ასევე ითქმის სხვა ფაბრიკებზეც.

ყოველივე ეს კი დიდი სიძნელეების წინაშე აყენებს კომბინატს. მიმდინარე წლის აგვისტოში პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე ჩვენი კომბინატი სამართლიანად და მკაცრად გაკიცხეს იმის გამო, რომ ინჟინერთა კადრების შერჩევაში ხერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს, ხშირად არ სრულდებოდა ასორტიმენტის გეგმა, ბევრია არასაწარმოო დანაბარჯები, დაბალ დონეზე დგას შრომის დისციპლინა.

პარტიულმა კომიტეტმა გადაწყვიტა მკაცრი ბრძოლა გამოუცხადოს დისციპლინის დამრღვევთ. არ დავუშვათ არც ერთი წუთის უმიზეზოდ დაკარგვა! — ამ დევიზით დაირაზმა ამ დღეებში მთელი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი. ყოველ ცვლაში, ყოველ საამქროში ამოყოფენს სამუშაოზე გამოსვლას. იწერენ დაგვიანებულთა და გამცდენთა გვარებს, მიდიან საერთო საცხოვრებლებსა და კომუნალურ ბინებში, აკვლევენ გაცდენა-დაგვიანების მიზეზებს, ეხებიან დისციპლინის დამრღვევთ, ახორციელებენ ალმაზრდელობითს ზომებს და უკიდურეს შემთხვევაში მეცრადაც სჯიან მათ.

ორი კვირაა სამუშაოზე არ გამოდიოდა მქსოველი ე. სამკარაშვილი. ჯერ ეგონათ, რომ ავად იყო. მაგრამ როცა საერთო ბინაში მივიდნენ და შეამოწმეს, გამოირკვა, რომ სავსებით ჯანმრთელი იყო და როგორც მან განაცხადა, ამ ხნის მანძილზე ცდილობდა როგორმე მსუბუქ სამუშაოზე გადასულიყო. ადმინისტრაცია იძულებული გახდა სამკარაშვილი გაეთავისუფლებინა სამუშაოდან.

უდისციპლინოთა, წესრიგის დამრღვევთა მიმართ სხვა ზომებსაც ვიღებთ. სამუშაოს სისტემატურ გამცდენებზე ვწერთ გაზეთებში, მათს საკითხს განვიხილავთ ამხანაგური სასამართლოს სხდომებზე. პარტიული კომიტეტი, კომბინატის ხელმძღვანელობა კვლავაც მკაცრად მოიქცევიან იმათ, ვინც სამუშაო დღის შეფასებაში უყაირათობას იჩენს, ვინც უდიერად ეპყრობა მას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა ახალი პერსპექტივები დაუსახა ჩვენს მრეწველობას. ეს პერსპექტივები ნათელია ჩვენი კოლექტივისათვისაც, რომელიც მთელი მონდომებით იბრძვის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებლად. სკკპ XXIII და საქართველოს კპ XXIII ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის.

მ. ნინოშვილი.

გორის ბამბეულის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი.

სამუშაო დღის ფასი

შაო დროის ფასი, სათანადო წარმატებებსაც აღწევენ.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით პირველი სართავი ფაბრიკის სალენტე-საფთილე საამქროს (უფროსი ყ. ჩალაური) კომბინატის საამქროებს შორის გაშლილ სოცშეჯიბრებაში პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა, ამასთან საამქრომ კომუნისტური შრომის კოლექტივის სპატიო სახელი მოიპოვა.

როცა საამქროს უფროსს ამ წარმატებას ულოცავდნენ, იგი წარმატების საფუძველთა საფუძვლად ასახელებდა იმას, რომ საამქროს თვითეულმა მუშამ კარგად იცის თავისი საქმე, იცის სამუშაო დროის ყოველი წუთის ფასი. მართლაც, აღნიშნულ საამქროში ძალიან იშვიათად თუ ვინმე გააცდენს სამუშაოს. მართალია, დილის ცვლა მუშაობას იწყებს 8 საათზე, მაგრამ რვის ნახევარზე ყველა ადგილზეა — იბარებენ ცვლას, წესრიგში მოჰყავთ სამუშაო უბანი, იმარაგებენ მასალებს, რომ შემდეგ. მუშაობის პროცესში სხვადასხვა წვრილმანის გამო არ დაკარგონ ოქროს წუთები. საამქროს კოლექტივმა 108 პროცენტით შეასრულა სექტემბრის სახელმწიფო დავალება და

საერთაშორისო ცხოვრება

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა შეხვედრა

ამხ. ბ. ნ. პონომარიოვის გამოსვლა

პრაღა, 22 ოქტომბერი. (საკადესი). გამოვდა რა გუშინ პრაღაში კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა შეხვედრაზე, რომელიც მიეძღვნა კომინტერნის VII კონგრესის 30-ე წლისთავს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ხელმძღვანელმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა თქვა:

კომინტერნის VII კონგრესი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში. მან დიდად შეუწყო ხელი ამ მოძრაობის განვითარებასა და აღმავლობას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მუშათა კლასის, ხალხთა მასების ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლის და უწინარეს ყოვლისა ფაშიზმისა და მსოფლიო ომის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამდიდრებას. კომინტერნის VII კონგრესის გადაწყვეტილებანი იყო კანონზომიერი რგოლი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებისა, კერძოდ, მემარჯვენე ოპორტუნიზმისა და „მემარცხენე“ დოქტრინიერობის წინააღმდეგ მისი ბრძოლის განვითარებისა. VII კონგრესის ცხოველმყოფელი იდეები ამჟამადაც ეხმარებიან კომუნისტებს მათ წინაშე დასახული მსოფლიო-ისტორიული ამოცანების გადაჭრაში.

კომინტერნის ტრადიციები, ხაზი გაუსვა ორატორმა, ცოცხლობენ კომუნისტური პარტიების ბრძოლაში დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, მათ ბრძოლაში საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე. კომუნისტთა რიგების ერთობის განმტკიცება მარქსიტ-ლენინელთა უპირველესი საზრუნავია, განაცხადა ბ. ნ. პონომარიოვმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ნათლად ხედავს იმ სიძნელეთა მთელ სერიოზულობას, რომლებიც საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაშია, თქვა მან, ყოველ ღონეს ხმარობს მათი დაძლევისათვის პრინციპულ, მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად ადგას უთანხმოებათა თანმიმდევრული დაძლევის, საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში ერთობლივი მოქმედების გაშლის, ყველა კომუნისტური პარტიის კონსოლიდაციის მიზნით ორმხრივი და მრავალმხრივი კონტაქტების ყოველნაირად გამოყენების კურსს. ჩვენს პარტიას, განაცხადა ბ. ნ. პონომარიოვმა, მტკიცედ აქვს აღებული კურსი სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებისა მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ყველა შესაძლო ღონისძიებანი ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. მაგრამ, როგორც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის ცნობილია, ჩვენს ღონისძიებებს არ მოჰყოლია დადებითი შედეგები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას სხვა მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან ერთად მაღლა უჭირავს დროშა კომუნისტთა საერთაშორისო არმიის შეკავშირებისა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე. არა გათიშვა, არამედ შეკავშირება— აი ჩვენი პარტიის, როგორც მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი რაზმის დევიზი.

პ. პ. გრომიკო შეხვდა კუბის ხელმძღვანელებს

ჰავანა, 21 ოქტომბერი. (საკადესი). 20 ოქტომბერს ნაშუადღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც კუბაში ეწვიდა იმყოფება, შეხვდა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს. შეხვედრის დროს, რომელშიც გულწრფელი მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო რუსი, კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოს ტორადო და კუბის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

შეხვედრას დაესწრო აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი კუბაში ა. ი. ალექსეევი.

შეიქმნა დასავლეთ გერმანიის კაბინეტი

ბონი, 22 ოქტომბერი. (საკადესი). დასავლეთ გერმანიის გაზეთები იუწყებიან, რომ ბონში დამთავრდა მოლაპარაკება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი მთავრობის შექმნის შესახებ, რომელსაც უკანასკნელ დღეებში კანცლერი ერჰარდი აწარმოებდა კოალიციური პარტიების ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან. დღეს ერჰარდი, რომელიც კვლავ დასავლეთ გერმანიის მთავრობის მეთაურად არის აღრიცხული, პრეზიდენტ ლუბკეს წარუდგენს დასავლეთ გერმანიის ახალი კაბინეტის წევრთა სიას.

როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ახალ კაბინეტში ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს ეკუთვნება 13 მინისტრი, ქრისტიანულ-სოციალურ კავშირს — 5 მინისტრი და თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას — 4 მინისტრი.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ახალი კაბინეტის შექმნას წინ უძღოდა მწვავე ბრძოლა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ამ პარტიის ბავარიის ფილიალის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ხელმძღვანელებს შორის. ამის შედეგად ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა „ბრძოლით მოიპოვა“ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი, რომელიც დღემდე ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წარმომადგენელს ეკავა.

მდგომარეობა სირიაში

დამასკო, 21 ოქტომბერი. (საკადესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ დაუკმაყოფილებია თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, ბაასის პარტიის ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი აკრამ ჰაურანი. გარდა ჰაურანისა, დაპატიმრებულია კიდევ 18 კაცი, რომელთა შორის ორი ყოფილი მინისტრია — მუსტაფა ჰამდუნი და ჰალილ კალაში. ყველანი სასამართლოს წინაშე წარსდგებიან.

პარიზი, 21 ოქტომბერი. (საკადესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო დამასკოდან იუწყება, გუშინ დაპატიმრებულ აკრამ ჰაურანისა და მის მომხრეებს ბრალდებად წაუყენეს „შეთანხმება“ ერთ უცხოეთის სახელმწიფოსთან“, თუმცა ბრალდებაში ეს სახელმწიფო დასახელებული არ არის, მაგრამ, როგორც საგენტო აღნიშნავს, ავტორიტეტული წყაროდან გამოიტანა, რომ ეს არის „რომელიღაც დასავლეთის ქვეყანა, რომლის ინტერესები შელახულია სიურიის ნავთობის ნაციონალიზაციის გამო სირიის არაბთა რესპუბლიკაში“. ასეთი ფორმულა, ხაზს უსვამს ფრანს პრესი, მეიძლება ეხებოდეს მხოლოდ დასავლეთ გერმანიას, რადგან დასავლეთ გერმანიის ფირმა „კონკორდია“ მოლაპარაკებს აწარმოებდა სირიის მთავრობასთან იმის შესახებ, რომ მიეცა მისთვის კარაჩუკის რაიონის ნავთობის საბადოს ექსპლოატაციის კონცესია, რაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სირიის ნავთობის ნაციონალიზაციის შესახებ.

ვილსონის წერილი სმიტისადმი

ლონდონი, 21 ოქტომბერი. (საკადესი). დღეს პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა პასუხი გაუგზავნა სამხრეთ როდეზიის პრემიერს სმიტს გუშინდელ წერილზე. რომელშიც სმიტმა ულტიმატური ფორმით კვლავ მოითხოვა მეცხოვრე სამხრეთ როდეზიას „დამოუკიდებლობა“. ვილსონის პასუხი კიდევ ერთი (ცდა „დაითანხმოს“ სმიტი. ვილსონმა შეატყობინა სმიტს, რომ მზადაა უახლოეს ორ დღეში გაემგზავროს სამხრეთ როდეზიაში და კიდევ ერთხელ ცდილ მიაღწიოს შეთანხმებას მოლაპარაკების გზით. ამ ეიხტის ერთ-ერთი მიზანია, განაცხადა ვილსონმა, — „ეცადოთ ვიპოვოთ გამოსავალი ჩიხიდან და თავიდან ავიცილოთ ტრაგიკული შედეგები“.

პ. მესმერის განცხადება

პარიზი, 22 ოქტომბერი. (საკადესი). „მთავრობის სახელით შემიძლია განვაცხადო, რომ ამიერიდან ჩვენი ატომური სტრატეგიული ძალების შექმნის პირველი ტალღია რუალორობაა“, — განაცხადა საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მინისტრმა პ. მესმერმა ეროვნულ კრებაში. ამ ძალების შექმნის პირველი ტალღია, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს „ირანეკ-4“ ტიპის ბომბდამშენების შექმნას.

პ. მესმერმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ეროვნულ კრებაში საფრანგეთის ზამთრის პიუჯეტის განხილვის დროს, აგრეთვე განაცხადა, რომ მეორე ეტაპის განხორციელება (რომელიც ბალისტიკური რაკეტების შექმნას ითვალისწინებს) 1968 წლის შემდეგ საშუალებას მოგვცემს გადავიდეთ მუსმე ეტაპზე — შეგვქნაა საკუთარი ატომური წყალქვეშა ფლოტი. საფრანგეთის ატომური შეიარაღება, განაცხადა კერძოდ, პ. მესმერმა, „ამჟამოლოდ აღიარებული ფაქტია, რომელსაც ყველამ, როგორც საფრანგეთში იქნება მის ფარგლებს გარეთ, ანგარიში უნდა გაუწიოს, როგორიც უნდა იყოს მისი აზრი და ინტერესები“.



როგორც მკითხველმა იცის, მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ქალაქ რომში შეიკრიბა ევროპის მწერალთა გაერთიანების „კომესის“ მეოთხე კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მხატვრული სიტყვის საუკეთესო ოსტატები ევროპის 26 სახელმწიფოდან.

დღევანდელ ნომერში ჩვენი გაზეთის მკითხველს თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, რომელიც ამ კონგრესზე არჩეულ იქნა ევროპის მწერალთა გაერთიანების ხელმძღვანელი საბჭოს წევრად.

ევროპის მწერალთა გაერთიანების „კომესის“ მეოთხე კონგრესი, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში შეიკრიბა ქალაქ რომში, არსებითად განსხვავდებოდა წინა, ტურინის კონგრესისაგან. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონგრესს უფრო ლიტერატურულ-სამწერლო ხასიათი ქქონდა, მაშინ როცა ტურინის კონგრესი, შეიძლება ითქვას, უფრო პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა; მას საფუძვლად ედო იტალიის გაერთიანების „რეაორჯიმენტოს“ ასი წლისთავის იუბილე და ამ საბაბით კონგრესის ზოგიერთი მონაწილე შეეცადა იგი „მცირე ევროპის“ პოლიტიკური თუ ეკონომიური გაერთიანების იდეისათვის ბრძოლის ასპარეზად გადაექცია.

მიზნდასახულობათა ამ სხვადასხვანაირობამ განსაზღვრა ამ ორი კონგრესის სახე და შინაარსიც. ტურინის კონგრესი უღიმღამო და ღარიბი იყო, რომის კონგრესი კი შინაარსიანი და საინტერესო გამოდგა. რომის კონგრესის წარმატება იმითაც განსაზღვრა, რომ მის მუშაობაში დღევანდელი ევროპის მხატვრული სიტყვის საუკეთესო ოსტატები იღებდნენ მონაწილეობას, მაშინ როცა ტურინის კონგრესზე თვით იტალიის გამოჩენილი მწერლებიც კი ნაკლებად ჩანდნენ. ეს ფაქტი იმაზეც ლაპარაკობს, რომ ევროპის მწერალთა გაერთიანება „კომესი“ სულ უფრო და უფრო ძლიერდება, სულ უფრო მეტად ხდება ავტორიტეტული ორგანიზაცია. ამას სიამოვნებით აღნიშნავდნენ ახლანდელი კონგრესის მონაწილენი.

რომის კონგრესს წინ უსწრებდა ევროპის მწერალთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეხვედრა „მრგვალი მაგიდის“ გარშემო, და დისკუსიები ლიტერატურისა და ხელოვნების თანამედროვე მდგომარეობისა და ხვალინდელი ბედის გამო. ამ შეხვედრებზე საბოლოოდ გაირკვა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ლიტერატორთა ესთეტიკური შეხედულებები და მან საბოლოოდ მიიღო დიალოგის ხასიათი ორი სამყაროს სიტყვის ოსტატთა შორის. ჩვენ ასეც გუწოდებთ ამ შეხვედრებს: ტურინის დიალოგი, ბუდაპეშტის დიალოგი, ლენინგრადის დიალოგი, ახლა კიდევ — რომის დიალოგი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ, მწერალთა სხვა საერთაშორისო შეხვედრებთან შედარებით, რომის კონგრესზე ურთიერთგაგების, დაახლოებისა და მეტი გულახლილობის სასურველი ატმოსფერო ეფობდა. ნაკლებად იგრძნობოდა ძველებური უდობლობაც. ამან დიდად შეუწყო ხელი დიალოგის, დისკუსიის სწორად და ნაყოფიერად წარმართვას.

თქმა არ უნდა, ეს ატმოსფერო შემზადებული იყო ევროპის მწერალთა წინანდელ საერთაშორისო შეხვედრებზე, განსაკუთრებით ბუდაპეშტსა და ლენინგრადში. ბუდაპეშტის დიალოგი მოაწყო „პენკლუბმა“, ლენინგრადისა — „კომესმა“, მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციებმა. პირველი დიალოგის თემა იყო — ტრადიცია და ნოვატორობა ჩვენი ეპოქის ლიტერატურაში, მეორისა — ახალი რომანის საკითხი.

ტრადიციონალიზმის, ტრადიციებისადმი დამოკიდებულების საკითხი რომის კონგრესზე იისე გაშუქდა. ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, მაგრამ ბუდაპეშტის შეხვედრაზე, როგორც მოგვითხრობს ამ შეხვედრის მონაწილე მწერალი ლ. ნოვიჩენკო, უმეტესობა მხარს უჭერდა იმ აზრს, რომ ტრადიციონალიზმსა და ნოვატორობას შორის არის უფქველი დიალექტიკური ურთიერთკავშირი, რომ ტრადიცია და ნოვატორობა „სიამის ტყუპებია“, რომ პატივი უნდა ვცეთ ტრადიციებს, მაგრამ ყოველთვის ვანახლებდეთ მათ; რომ არ არის თანამედროვეობა ტრადიციების გარეშე და არ არის ტრადიცია თანამედროვეობის გარეშე; რომ ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის არის მხოლოდ მოჩვენებითი ზღვარი, რომ თანამედროვეობას შეუძლია მოახდინოს ზეგავლენა მხოლოდ ტრადიციებთან ერთიანობაში და სხვ.

რაც შეეხება ფსევდონოვატორობას, მის წინააღმდეგ პროტესტის ხმა ჯერ კიდევ ბუდაპეშტის შეხვედრაზე გაისმა, და დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ეს ხმა არა მარტო სოციალისტური ქვეყნების მწერლებს ეკუთვნოდათ, არამედ დასავლეთის მოწინავე ლიტერატორებსაც, სულ სხვადასხვა მიმართულებების, სხვადასხვა იდეოლოგიის შემოქმედთ. ასე, მაგალითად, შეხვედრის ერთმა მონაწილემ ასე ფიგურალურად გამოსახა ეს პროტესტი ფსევდონოვატორობის მიმართ: — როდესაც ვხმარობთ სიტყვებს „ექსპერიმენტი“, „ნოვატორობა“ ჩვენ ქუდს ვიხდით ხოლმე, მაგრამ მე ხანდახან მეჩვენება, რომ ამ დროს ჩვენ არა მარტო ქუდს ვიხდით, არამედ თავსაც ვიგლეჯთ ხოლმე... მე თავს ვესხმი და ვებრძვი უთაო მიდგომას ნოვატორობისა და ექსპერიმენტისადმი.

რომის კონგრესზეც ამჯარად ჩანდა საერთო შეშფოთება ფსევდონოვატორობისა და ფსევდოექსპერიმენტალიზმის გამო ლიტერატურაშიც და ხელოვნებაშიც, განსაკუთრებით პოეზიისა და კინოხელოვნებაში; მაგალითად: დასავლეთ გერმანიის პოეზია, სადაც სავსებით გაქაქრა აზრი და საკმარისია წინადადებაში არამც თუ შეგნებულად, არამედ შეუგნებლად გაიპაროს იგი, რომ ეს ნაწარმოები ჩათვალოს უკვე ტრადიციულად, უკვე მოძველებულად. სიტყვა სავსებით დაიცალა შინაარსისაგან, ან როგორც რომის კონგრესზე ამის გამო კარგად ითქვა: „სიტყვებში დაიკარგა სიტყვა“.

როგორც ვიცით, დაახლოებით ასევე იდგა საკითხი „კომეს“ ლენინგრადის სესიაზეც, სადაც კამათი, არსებითად, -არა ძველსა და ახალ რომანზე იყო, არა ტრადიციასა და ნოვატორობაზე, არამედ რომანსა და არარომანს შორის, ახლა თვითონ დასავლეთის ბევრ წარმომადგენელს აფიქრებს წმინდა გარეგნული ლიტერატურული „ნოვატორობის“ მოძალება, რაც რეალისტა და მოდის კანონებზეა აგებული. ამბობენ, კრიზისს განიცდის არა რომანის ჟანრი, არამედ მისი განახლების ფორმალისტური ცდები და მეთოდებიო.

გარდა მწერალთა საერთაშორისო შეხვედრებისა, დიალოგებისა, რომის კონგრესს წინ უძღოდა თანამედროვე ლიტერატურის და ხელოვნების პრობლემათა ფართო განხილვა დასავლეთის პრესაში, რისი გაცნობის საშუალებაც თავაზიანად მოგვცეს საბჭოთა მწერლებს რომის კონგრესის გახსნის წინ მისმა ორგანიზატორებმა, „კომეს“ ხელმძღვანელებმა.

შევეცდები ამ მასალებიდან ჩვენს მკითხველს მოვუთხრო ზოგიერთი რამ:

ევროპის მწერალთა გაერთიანების რომის კონგრესის დიალოგის თემა გახლდათ: „ლიტერატურული ავანგარდი გუშინ და დღეს“.

პირველ ყოვლისა, რა არის ავანგარდი, ავანგარდიზმი, ნეოავანგარდიზმი? ავანგარდიზმი არ არის რაიმე ახალი ლიტერატურული მიმართულება, ან ლიტერატურული სკოლა, ვთქვათ, სიმბოლიზმი, როგორც სიურრეალიზმი, ან ნეორეალიზმი (შორს რომ არ წავიდეთ). ეს არის მთელი მოძრაობა დღევანდელი ევროპის მწერლობასა და ხელოვნებაში, ან, როგორც იქ ამბობენ: ევროპული ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალი კლიმატი.

ავანგარდის საუკეთესო წარმომადგენლები ამ მოძრაობის დასაწყისში ეტყობა აღძრულნი იყვნენ კეთილი განზრახვითა და მიზნებით, არა მარტო ნგრევისა და უარყოფის სურვილით, არამედ შენებისა და დამტკიცების, ახლის, ახალი გზების ძიების, ხელოვნებისა და მწერლობის წინწაწევის იდეებით. ისინი თავიანთ წინაპრებად თვლიდნენ როგორც ამის შესახებ რომის კონგრესზეც აცხადებდნენ, — ფლობერს, იბსენს, ბოდლერს, პუშკინს, დოსტოევსკის, ტოლსტოის, მაიაკოვსკის — ყველას, ვინც თავის დროზე დაარღვია ლიტერატურასა და ხელოვნებაში არსებული სტანდარტები, მონახა და თქვა ახალი სიტყვა.

მაგრამ რა მოხდა შემოქმედებითის სინამდვილეში? რად იქცა ავანგარდი შემოქმედებითს პრაქტიკაში?

„ავანგარდზე ლაპარაკი უფრო მართებულია, იგი საგანით უბულებელყოფდა ეროვნულ ტრადიციებს, ეროვნულ სულს ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მაგრამ ამავე დროს არ გვავიწყდებოდა ჯანსაღი სიახლისათვის ხელის შეწყობა, დოგმატიური ფსევდოტრადიციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ლიტერატურის გაუბრალოების, პრიმიტიულობის წინააღმდეგ ბრძოლა, გაუბრალოებისა, როცა ქრება საზღვარი ლიტერატურასა და არალიტერატურას შორის, ნაციონალური შეზღუდულობის წინააღმდეგ ბრძოლა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ბრძოლა გაუთავებელი, ზომასგადასული „პატრიოტიკის“ ცრუპატრიოტიზმის წინააღმდეგ, რაც მხოლოდ შემოქმედის ჩამორჩენილობაზე ლაპარაკობს.

როგორც მკითხველმა იცის, საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა უარყოფითად შეხვდა დასავლეთის ნეოავანგარდიზმის ფორმალისტურ ექსპერიმენტებს და ესთეტიკურ პრინციპებს. ჩვენს პერიოდულ პრესაში და ცალკე მეცნიერულ შრომებად გამოქვეყნდა და ქვეყნდება ბევრი კრიტიკული ნაწარმოები დასავლეთის ავანგარდიზმზე. შეიძლება საკმარისი იყოს მათი ზოგიერთი სათაური დასახელებაც სურათის ნათელყოფისათვის: „ავანგარდი თუ არიერგარდი?“, „მშვენიერების დამანგრეველნი“, „უწარსულოდ და უმომავლოდ“, „გმირიდან არარაობისაკენ“, „დროისა და სივრცის გარეშე“, „თანამედროვე აბსტრაქციონიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ“ და ა. შ.

ევროპის მწერალთა გაერთიანების რომის კონგრესმა განიზრახა გარკვეულობა შეეტანა დღევანდელი ავანგარდიზმის ამ მეტად რთულ საკითხებში. ოთხი დღე მიმდინარეობდა გაცხარებული კამათი კონგრესის ტრიბუნასა და კულუარებში, მაგრამ დისკუსიის დამთავრების შემდეგ კონგრესის თითქმის ყველა მონაწილე ერთნაირი შთაბეჭდილებითა და რწმენით გაბრუნდა უკან, იმის რწმენით, რომ საჭიროა დრო, საჭიროა კიდევ უფრო ღრმა გაანალიზება, რომ ამ ერთმანეთის საწინააღმდეგო მსჯელობაში გაირკვეს დღევანდელი ევროპის მწერლობისა და ხელოვნების მომავალი გზები და პერსპექტივები. კამათი ახლა ისევ პრესის ფურცლებზე გადადის.

რომის კონგრესის დღის წესრიგის საკითხი: „ავანგარდი გუშინ და დღეს“ არსებითად გადაიზარდა დისკუსიაში ტრადიციონალიზმისა და მოდერნიზმის გარშემო. ამ დისკუსიას სათავე თვითონ მთავარმა მომხსენებელმა მორის ნადომ დაუდო. მან პირველმა გაილაშქრა ტრადიციონალიზმის წინააღმდეგ ავანგარდიზმის სასარგებლოდ და ერთმანეთს დაუპირისპირა ერთი მხრივ ანდრე მორუა და ფრანსუა მორიაკი, ხოლო მეორე მხრივ კაფკა, ჯოისი და იონესკო. მისი თქმით, ავანგარდი წინასწარ, ათეული წლებით ადრე, ჭვრეტს ლიტერატურისა და ხელოვნების პერსპექტივებს, ქმნის კიდევ ამ პერსპექტივებს, — არიერგარდი, ტრადიციონალიზმი კი ლიტერატურულად, ხარისხობრივად ახალს არაფერს ამბობს, მიჰყვება ტრადიციებს და კეტავს გზებს მომავლისაკენ. მომხსენებელმა კონგრესს მოაგონა მეცხრამეტე საუკუნის ზოგიერთი კლასიკოსი, რომელთაც მან ავანგარდი უწოდა, ისინი, ვინც, მისი სიტყვით, თანამედროვეთა დაფასების გარეშე ქმნიდნენ ახალ ლიტერატურასა და ხელოვნებას ჩვენთვის, ჩვენი ეპოქისა და თაობებისათვის და შემდეგ მეოცე საუკუნეში აღნიშნა ვლადიმერ მაიაკოვსკის დამსახურება რევოლუციური პოეზიის ახალი სიტყვის შექმნაში, შემდეგ კი ელუარის და არაგონის პოეზია.

ავანგარდისტებს ხშირად უსაყვედურებენ ევროპაში, რომ ისინი ანგრევენ და არ აშენებენ, — განაცხადა მან, — დიახ, ავანგარდი ასახავს, როგორ ინგრევა ძველი. ეს იქნებ ლამაზი სურათი არ არის, მაგრამ მართალი სურათიაო და ამ შემთხვევაში მომხსენებელმა დაასახელა და დაახასიათა ფრანც კაფკა. (ამ დღეებში მოსკოვის გამომცემლობა „პროგრესმა“ გამოსცა კაფკას ერთტომეული).

მთავარი მომხსენებლის ძირითად პრინციპებსა და შეხედულებებს არა ერთი მოკამათე ეთანხმებოდა კონგრესის ტრიბუნაზე, ისინი არა მარტო ადასტურებდნენ მოხსენების მთავარ პათოსს, არამედ აგსებდნენ და ავითარებდნენ კიდევ მას. მათი მახვილი, რასაკვირველია, მიმართული იყო რეალიზმის ხელოვნების მიმართ, სოციალისტური რეალიზმის იდეურ-ესთეტიკური პრინციპების წინააღმდეგ. ასეთი გამოსვლები კი ამ კონგრესზე სრულიად მოსალოდნელი იყო, რადგან ევროპის მწერალთა ამ შეხვედრაში მონაწილეობას, როგორც ვთქვით, იღებდნენ ორი სამყაროს სულ სხვადასხვა შეხედულებათა წარმომადგენლები.

განსაკუთრებულად გაისმა ისევ ბრალდება კოფორმიზმის შესახებ — კოფორმიზმი ლიტერატურისა და ხელოვნების სკლეროზია; იგი აშრობს არა მარტო ტვინს, არამედ გულსაც; იგი ხელოვნებასა და ლიტერატურას დეგენერაციისაკენ, დაღუპვისკენ ეზიდება, — ასე აცხადებდნენ ტრიბუნაზე ზოგზოგები, მაგრამ ამ მოძველებულ ბრალდებაზე კამათი აღარ შექმნილა.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ კონგრესზე ხმამაღლა და უპირატესად ჟღერდა ჯანსაღი სიტყვა და ამ სიტყვის მედროშენი პირველ რიგში იყვნენ საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების მწერლები. დიდი შთაბეჭდილება დატოვა ა. ტვარდოვსკის, ვ. აქსიონოვის, ვ. ბკლოვსკის, ბ. სუჩკოვის გამოსვლებმა.

— მე არა ვარ მომხრე პარასკევს ეწოდოს კვირა, რაგინდ სასიამოვნო დღესასწაულიც უნდა იყოს ეს კვირაო, — თქვა ალექსანდრე ტვარდოვსკიმ, — ავანგარდისტები ჯერ მხოლოდ თეორიებით, განცხადებებით, სურვილებით გამოდიან, მაგრამ ნაწარმოებებს, მხატვრულ ტილოებს ჯერ კიდევ ვერა ვხედავთ, ხოლო რასაც ვხედავთ, ის ავანგარდიზმის მიზნების სასარგებლოდ ბევრს არაფერს ლაპარაკობს. ერთ ნაწილში ეს გამოსვლა უპასუხებდა კონგრესის ზოგიერთი მონაწილის განცხადებას: — ავანგარდიზმი ექსპერიმენტალიზმია და დავიცვათ იგი ფილისტერების თავდასხმებისაგან. ტვარდოვსკიმ თქვა: მე ყოველთვის ვფიქრობდი და ვფიქრობ, მწერალი ექსპერიმენტებს ატარებს ლაბორატორიებში, ოფლიანობს, ეძებს, ცდილობს, ... ეს ... ეს ... ...

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ვაქოჩენილი ხელოვანი

სსრ კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ხორავას იუბილესათვის

◆

ქართული საბჭოთა თეატრის და კინოს გამოჩენილ მოღვაწეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიების ლაურეატს აკაკი ალექსის-ძე ხორავას 70 წელი შეუსრულდა.

ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის ცნობილია, რომ ამ გამოჩენილი მსახიობის იუბილეს მოსაწყობად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ შექმნა საიუბილეო კომიტეტი საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ო. თაქთაქიშვილის თავმჯდომარეობით.

საიუბილეო კომიტეტმა გადაწყვიტა ა. ხორავას იუბილე, ნაცვლად გამოცხადებული თარიღისა, გაიმართოს 1965 წლის პირველ ნოემბერს. ამ დღეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართება ა. ხორავას დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. ასევთრვე საღამოები მოეწყობა ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, ქუთაისში და მსახიობის სამშობლო ქალაქ-ცხაკაიაში.

ა. ხორავას იუბილესთან დაკავშირებით საიუბილეო საღამოზე მოწვეული არიან სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან.

რუსთაველის სახელობის თეატრში მოეწყობა აკაკი ხორავას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა.

ამ დღეებში გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოსცემს ფოტოდოკუმენტებისა და სხვა მასალების კრებულს, რომელშიც ასახულია დიდი მსახიობის მოღვაწეობა, მისი ცხოვრების გზა. ამავე გამომცემლობაში იბეჭდება წიგნი, რომელშიც შევიდა აკაკი ხორავას სხვადასხვა დროს დაწერილი წერილები ქართული თეატრალური ხელოვნების ცალკეულ საკითხებზე, მასში ავტორი მკითხველებს მოუთხრობს აგრეთვე სამსახიობო ხელოვნების რთულ და სპპატიო გზაზე ნახული და განცდილი მოვლენების შესახებ.

დიდ ფლორენციელს მიეძღვნა

ამ დღეებში მოსკოვში საბჭოთა კავშირის დიდ თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა დიდი ფლორენციელის — დანტეს დაბადების შვიდასი წლისთავს.

დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი ქოვიდნენ სხდომაზე, რათა პატივი ეცათ იტალიის უდიდესი პოეტის დანტე ალიგიერის სახელისათვის.

პრეზიდიუმში იყვნენ საკავშირო საიუბილეო კომიტეტის წევრები, საბჭოთა მწერლები, იტალიელი სტუმრები.

საკავშირო საიუბილეო კომიტეტის, საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საბჭოთა საზოგადოების და საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის დავალებით სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ა. სურკოვმა.

იტალიის ელჩმა საბჭოთა კავშირში ფედერიკო ფელინიმ წაიკითხა იტალიის განათლების მინისტრის ლუიჯი გუის მისასალმებელი დეპეშა.

სიტყვებით გამოვიდნენ ლიტერატურისმცოდნე დ. გლაგოი და პოეტი ანა ახმატოვა.

მწერალმა-აკადემიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი ვრცელი სიტყვა მიუძღვნა თემას — „დანტე და ქართული კულტურა“.

დილა ჩაის კლანტაციაზე.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ახალი სკოლა

 წალენჯიხა. (საკ. კორ.). სოფელ ქვედა მაზანდარაში დამთავრდა ორსართულიანი რვაწლიანი სკოლის მშენებლობა.

სკოლას აქვს 15 საკლასო ოთახი და კაბინეტ-ლაბორატორიები. სკოლის მშენებლობას აწარმოებდა ზუგდიდის მეშვიდე სამშენებლო-სამონტაჟო კანტორა. მშენებლებს დიდ დახმარებას უწევდნენ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრები.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ამხ. **მ. გ. კოდუა** დანიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად.

ამხ. **ბ. ი. გუჯეჯიანი** დანიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს უფროსად.

ამხ. **დ. ნ. ჩიკვაძე** დანიშნულია კომბინატ „საქქვანახშირის“ უფროსად.

კომეტა გაქრა?

ასტრონომებს იმედი გაუცრუვდათ. ბევრ ობსერვატორიაში ცუდმა ამინდმა ხელი შეუშალა დაკვირვებას კომეტა იკეია-სეკიზე, რომელსაც 21 ოქტომბრის დილით მზის ახლოს უნდა გაეფლო. მაგრამ იქაც კი, სადაც პირობები კარგი იყო, ტაშკენტის, ყირიმის ობსერვატორიებში „პაემნის ჟამს“ კომეტა არ გამოჩენილა. იგი არა ჩანს ტაშკენტის ობსერვატორიაში გამოვლინებულ ფოტოსურათებზეც. უკრაინელმა ასტრონომებმა, რომლებიც კომეტას თვითმფრინავიდან აკვირდებოდნენ, ვერ აღმოაჩინეს იგი. ზოგიერთმა მეცნიერმა აზრი გამოთქვა, რომ კომეტამ ორთქლების შედეგად ნივთიერების მნიშვნელოვანი მარაგი დაზარჯა, ძლიერ „დამშლეადა“ და, შესაძლოა, დაიშალოთ. დაახლოებითი 11 საათზე ყირიმის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დამკვირვებლებმა ამ ადგილას, სადაც კომეტა უნდა ყოფილიყო, თუ იგი მზეს გასცილდებოდა, სუსტი პატარა ვარსკვლავი შეამჩნიეს. მასზე დაკვირვებას აწარმოებენ. იქნება სწორედ ეს არის იკეია-სეკი. მზის ახლოს მისი შუქი უბარალოდ დიაკარგა კამკაშა მნათობის ფონზე. სიბოლოო დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მონაცემები მიღებულ იქნება ყველა ობსერვატორიიდან.

ბ. რუბინი.

ახალი აღმოჩენა

პარიზი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). ვასენშტეინის მთაზე მდებარე შეიეიარიის ასტრონომიული ობსერვატორიის თანამშრომლებმა დღეს კვლავ აღმოაჩინეს კომეტა იკეია-სეკი მას შემდეგ, რაც გვეღრეთ ჩაუარა მზეს, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო ბერნიდან.

შეეიეარიელმა ასტრონომებმა განაცხადეს, იუწყება საგენტო, რომ კომეტა სწორაფად მიიწევს მზისაგან დასაკლეთის მიმართულებით. რამდენიმე დღის შემდეგ მისი დანახვა შეიძლება ღილაობით, როგორც კამკაშა ვარსკვლავისა.

დაკვირვება იკეია-სეკიზე

ტოკიო, 21 ოქტომბერი. (საკდესი). ტოკიოს ასტრონომიულმა ობსერვატორიამ 60 სანტიმეტრიანი ტელესკოპის საშუალებით დღეს შეძლო დაკვირვებდა კომეტა იკეია-სეკის მზეთან მიახლოების დროს. მაგრამ კომეტის ფოტოსურათის გადაღება ვერ შეძლეს.

ობსერვატორიის ცნობის თანახმად კომეტა ჩანდა, როგორც თეთრი ბურთი მზის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მზის ერთი დიამეტრის მანძილზე. ბურუსმა დაფარა კომეტა და ხელი შეუშალა ფოტოსურათის გადაღებას. დაკვირვება გრძელდებდა ერთი საათის მანძილზე დილის 10 საათსა და 30 წუთიდან ადგილობრივი დროით.

კიოდო ცუსინის საააგენტო იტყობინება, რომ მოყვარული ასტრონომი კოიტი იკე (კოტის პროფექტურა) კომეტაზე ოთხი საათით ადრე აწარმოებდა დაკვირვებას. მან განაცხადა, რომ კომეტის სიკაშკაშე, უდრიდა მინუს ექვს ვარსკვლავიერ სიდიდეს, მაგრამ კუდი არ ჩანდა.

ᲛᲝᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ

სპორტული სამყარო შეუნელებელი ინტერესით მოელის მსოფლიოს პირველობის გათამაშებას ძალოსნობაში, რომელიც ოთხი დღის შემდეგ ირანში გაიმართება.

ჩვენი ძალოსნების ჩინებულ სპორტულ ფორმაზე მეტყველებს უკანასკნელ შეხვედრათა შედეგები, მათ მიერ დამყარებული რეკორდები. ირანში გამგზავრების წინ წარმატებას მიაღწიეს მსუბუქი და ქვემსუბუქი წონის წარმომადგენლებმა. არმიელმა ე. ᲙᲐᲪᲘᲠᲐᲛ (მსუბუქი წონა) აკიმა 144 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ქვემსუბუქი წონის ძალოსანმა ე. სოლოვიოვმა აკრაში 500 გრამით გაუსწორებია სსრ კავშირის რეკორდი — აჩვენა 146 კილოგრამი.

პირველი წრის ფინიში

„ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების მეორე ფინალურ ტურნირზე 21 ოქტომბრის მატჩებით ამოიწურა პირველი წრე.

საუნინერო ცხრილის სათავეში კვლავ ნოვოსიბირსკის არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურელთა გუნდი დგას, რომელსაც 38 თამაშიდან 41 ქულა აქვს. პირველი წრის უკანასკნელი მატჩი ნოვოსიბირსკელებმა მოიგეს ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“. მომდევნო ადგილზეა გომელის „სპარტაკი“. მას ერთი თამაშით მეტი აქვს, ამასთანავე ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერს. თბილისის „ლოკომოტივს“ 38 თამაშიდან 32 ქულა აქვს და მეორე ფინალური ტურნირის ცხრილში მეათე ადგილზეა.

◆

პრეტენდენტის მორიგი გაპარჭვება

გუშინ თბილისში გაიმართა ასულრელიან ბაშში **ვ. შჩეგოლევისა** და **ი. კუპერმანის** მატჩის მეთოთხმეტე პარტია მსოფლიოს პირველობაზე.

თეთრებით თამაშობდა **ვ. შჩეგოლევი**. დებიუტიდანვე შავებმა პერსპექტიული პარტია მიიღეს. შემდეგ **ი. კუპერმანმა** შეძლო ძალების მობილიზება ცენტრში, ტაქტიკური მუქარებით შეასუსტა მოწინააღმდეგის ფლანგების ურთიერთკავშირი და 59-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ამრიგად, ანგარიში გახდა 9,5:4,5 **ი. კუპერმანის** სასარგებლოდ.

თ. ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ,
ოსტატობის კანდიდატი.

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდები. შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1.

◆

დუგლიორთა მესვედრა

გუშინ თბილისში გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების დუბლიორთა საკავშირო ტურნირის მორიგი შეხვედრა ფეხბურთში მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

დღეს „დინამოს“ სტადიონზე შედგება ამ კოლექტივების ძირითად შემადგენლობათა პაექრობა.

◆

წყალგურთელთა ჩემპიონატი

გუშინ წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ასპარეზობის მონაწილეები ისვენებდნენ.

მესამე ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდების მატჩი. მძაფრი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 3:3.

წინ არის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდი, რომელსაც 30 ქულა აქვს. მოსკოვის დინამელებმა 26 ქულა შეაგროვეს, თბილისის „დინამომ“ და ბაკოს კკფ-მ 25-25 ქულა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ — ᲘᲐᲠᲝᲜᲘᲐ

საერთაშორისო მატჩი სპორტულ ტანვარჯიშში

უკანასკნელ წლებში იაპონელ ტანმოვარჯიშეთა წარმატებებმა საერთო აღიარება ჰპოვა. ამიტომ იაპონელთა გამოსვლას საბჭოთა კავშირში სპორტის მოყვარულები შეუნელებელი ინტერესით მოელოდნენ. ეს შეჯიბრება, რიცხვით მესამე, გაიმართა კიევის სპორტის სასახლეში და დიდალი მაყურებელი მიიზიდა.

გათამაშდა გუნდური პირველობა, აგრეთვე მრავალჯერადი. ცალკეულ იარაღებზე პირველობა მოსკოვში მოეწყობა. პირველი დღის ასპარეზობის მიხედვით წინ იყვნენ: ქალთა შორის მოსკოველი **ზ. დრუჟინინა**, ვაჟთა შორის — **ს. დიამიდოვი** და **ვ. ლეონტიევი**.

ასპარეზობის უკანასკნელ დღესაც **დრუჟინინამ** შეინარჩუნა უპირატესობა და მრავალჯერადი პირველი ადგილი მოიპოვა. მეორე იყო **ნ. კუჩინსკაია**, მესამე — **ნ. კონცოვა**, მეოთხე — იაპონელი ტანმოვარჯიშე — **კეიკო ადასი**.

ვაჟთა შორის მრავალჯიდში თანმიმდევრულად პირველი სამი ადგილი დაიკავეს **ს. დიამიდოვმა, მ. ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘᲜᲐᲛ** და იაპონელმა **სუეი ცურუშიმ**.

საერთო გუნდური პირველი ადგილი 288,5 ქულით საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა დაიკავეს.

უკანასკნელი ტურის წინ

კოპენჰაგენი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). სიფრთხილე — ამ დევიზით ჩაარა გუშინ დანის დედაქალაქის საჭადრაკო კლუბის 100 წლისთავის აღსანიშნავი საერთაშორისო ტურნირის უკანასკნელისწინა, მე-14 ტურმა. გროსმაისტერული ყაიმი აღინიშნა მინსკელი **სუეტინისა** და ჩეხოსლოვაკიელი **გორტის** პარტიაში. დაუმთავრებელი დარჩა **ტიმანნოვის** შეხვედრა დანიელ **ლარსენთან** და ჩეხოსლოვაკიელ **უტელკას** პარტია იუგოსლავ **ვლიგორიჩთან**.

ფინიშის წინ **სუეტინს** 10 ქულა აქვს.

◆

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

ქანდაკებების გალერეა გამოქვაბულში

ᲕᲚᲐᲓᲘᲕᲝᲡᲢᲝᲩᲘ, 21 ოქტომბერი. **(საკდესის კორ.).** ზღვისპირეთში ნაპოვნია პირველი ეგრეთწოდებული წინაპართა გამოქვაბული, ფიქრობს ცნობილი არქეოლოგი ალექსი ოკლადნიკოვი. მოყვარულმა სპეციალისტებმა, რომლებმაც მღვიმე აღმოაჩინეს, ნახეს იქ მამაკაცთა ფიგურების კარგად შემონახული გამოსახულებანი, რომლებიც ისტატურადაა ამოჭრილი სტალაქტიტებზე. მათ გამოქვაბულს უწოდეს „მძინარე მზეთუნახავის მღვიმე“.

ზღვისპირეთში დასახლებული ტუნგუსთა უძველესი ტომები ქმნიდნენ თავიანთი გარდაცვლილი ნათესავების ქანდაკებებს. და ათასობდნენ მათ ძნელად მისადგომ ადგილებში. „მძინარე მზეთუნახავის მღვიმეში“ ქანდაკებები გამოკვეთილია გამოქვაბულის ბუნებრივი კირქვის წარმონაქმნებზე, სადაც მიწისქვეშა წყაროების მოქმედება შეწყდა. ამით აიხსნება ის, რომ გამოსახულებანი კარგად შენახულა.

ა. ოკლადნიკოვს, რომელმაც გამოქვაბული დათვალიერა, მიაჩნია, რომ გამოსახულებანი გამოკვეთილია სულ ცოტა ათასწლეულის წინათ. არქეოლოგი აღნიშნავს ამ ქანდაკებების თავისთავადობას და დასძენს, რომ ქვის გამოსახულებანი ცნობილია აგრეთვე ინდოეთის უძველეს გამოქვაბულებში.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲡ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲘᲠᲐᲡᲐᲘᲜᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲦᲕᲠᲘ ᲬᲕᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲘᲡᲘᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲡᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲐ ᲐᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲗ — ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

„ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲡᲙᲐᲘᲐ ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ Ვ. ᲠᲔᲒᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲜᲘᲗ.

— ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, — ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲜᲐᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲣᲚᲡᲘᲡᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜ. ᲘᲡᲘᲜᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲣᲙᲐᲠᲐᲕᲐᲜᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲐᲓ, ᲠᲐᲒᲝᲠᲘᲪᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲣᲥᲘ ᲣᲑᲐᲚᲝᲓᲐᲓ ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ ᲙᲐᲛᲙᲐᲨᲐ ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲛᲘᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲣᲑᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ ᲙᲐᲛᲙᲐᲨᲐ ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ. ᲠᲐᲒᲐᲜᲐᲛ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲔᲡ ᲠᲝᲛᲔᲠᲘᲪᲐ ᲡᲐᲘᲝᲜᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ. ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲫᲚᲔᲕᲐᲓ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲐᲓ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲔᲡ ᲠᲝᲛᲔᲠᲘᲪᲐ ᲡᲐᲘᲝᲜᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲓᲔᲡ, ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲣᲑᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ ᲙᲐᲛᲙᲐᲨᲐ ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲛᲘᲗᲘ